

რედაქცია

მელიქონოვის ქუჩაზე, პეტრე ჩაიკოვსკის სას-  
ტუბო.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქონოვის სტამბაში.  
ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ Тифлисе. ВЪ  
редакцію газеты „Пробѣ“.

გაზეთის ფასი

წელიწადში 8 — მან., ნახევარ წელიწადში —  
4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან.  
ცალკე ნომერი — ერთი შაურსი.

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, თურქულს და სხვა  
ცუხულს ენებზე.

განცხადების ფასი

დიდი ასობით, ასობე — 1 კაპ., ასო-მთავრულით,  
სტრიქონზე — 8 კაპ., ციცეროთი, სტრიქ. — 5 კაპ.  
და პეტიტით — 4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გასწორებს  
და შეამოკლებს გამოცხადებულ სტატიებს.  
დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

# ფრონტი

გამოდის კვირარაობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

## საქართველო

### თფილისის

### საადგილ-მამულო განაღ

ქალაქში შეკრებილია ამ ქაშად  
ჩვენი გუბერნიის თავად-აზნაურობა,  
რომელმანც ჯერ თავიანთი წინამძ-  
ღომელნი უნდა ამოარჩიონ და შემ-  
დეგ საზოგადო საადგილ-მამულო  
ბანკის გამგეობა.

პირველ საქმეს, ე. ი. წინამძღო-  
მელთა ამოარჩევას, ქართლ-ქანთის  
თავად-აზნაურობა, უეჭველია, წყნა-  
რად, მშვიდობიანად გაათავებს; იმას  
მეთელი ყვირილი და მოძრაობა არ  
იქნება, რაც იმერეთში არის ხოლმე  
ამგვარ შემთხვევის დროს.

მაგრამ მეორე საგანი — ბანკის გამ-  
გეობის ამოარჩევა — როგორც ეტ-  
ყობა, უფრო საინტერესო და გაც-  
ხიველბული იქნება.

და გაცხარებული იქნება, სხვათა  
შორის, იმიტომ რომ ბანკის ახლან-  
დელ გამგეობას ზოგი ისეთი მტერი  
და უკმაყოფილონი აღმოუჩნდნენ,  
რომელნიც ვინ იცის როგორ ხმებს  
აერცვლებენ ამ გამგეობაზე.

ბანკის დაარსებამდე ადვილად  
დასაწახავი იყო ეს; ადვილად შეიძ-  
ლებოდა გამოეცნო კაცს, რომ პირ-  
ველი გამგეობა ჩვენი ბანკისა, რაც  
უნდა გენიალური და ბანკის ოპერ-  
აციებში განვითარებული ყოფილი-  
ყო, მაინც ვერ დააკმაყოფილებდა  
ჩვენს საზოგადოებას.

რატომ? — იმიტომ რომ თავად-აზ-  
ნაურობა ერთობ ბევრ მოვლოდა  
ამ ბანკიდან; იმიტომ რომ ყველა

ჭეჭკობდა: ოღონდ მამული მკონ-  
დეს და ფულებს ამ ბანკიდან საჩქა-  
რით და უკლებს დაუბრკოლებლივ  
გამოეიტანო; იმიტომ რომ ყველა,  
ვისაც კი, სხვა და სხვა მიზეზების  
გამო, და უმთავრესად დოკუმენტე-  
ბის უქონელობისა გამო, ამ ბანკიდან  
ფული დაუბრკოლებლივ ვერ გამოჰ-  
ქონდა, ყველა გამგეობა აბრალებ-  
და და აბრალებს ამასა. საქმაოა,  
ორი-სამი კაცი დარჩეს ბანკზე უკმა-  
ყოფილოთ; საქმაოა, რომ ორმა-  
სამა ან სულ ვერ მიიღოს ბანკიდან  
ფული და ან იმდენივე მიიღოს, რა-  
მდენიც უნდოდა, — იმწამსვე გამგეო-  
ბაზე დაიწყებს საყვედურს; მიზეზს  
ვინ დასდევს? ბანკი ფულის გამო-  
სატანად დაეფუძნეთო, ფული ვერ  
გამოგვაქვსო; მაშასადამე ცუდი ბან-  
კია, ცუდი გამგეობაა, — უნდა გამო-  
ეცვალოთ გამგეობაო!

მიმეორებთ, რომ ამგვარი უკმაყო-  
ფილება წინათვე ადვილად მოსა-  
ლოდნელი და წარმოსადგენი იყო,  
რადგან ჩვენი თავად-აზნაურობისათ-  
ვის ეს ბანკი ახალი საქმე იყო და  
იმიტომ სარგებლობა არ შეიძლება,  
თუ ნამდვილი და გარკვეული დო-  
კუმენტები და საბუთები არ ექნებო-  
დათ. თუმცა გამგეობა აქ არაფერ  
შუაშაა, მაგრამ ყველა უბედურება  
და საყვედური მაინც იმას დააწყდ-  
ბოდა თავზე.

სწორეთ ასე დავმართა თფილისის  
საადგილ-მამულო ბანკის გამგეობას.  
როგორც გამოცხადებულის წლი-  
ურის ანგარიშიდან სჩანს, ამ ბანკს  
1875 წლის 13 თებერვლიდან დაუ-  
წყია თავის მოქმედება. ამ დღიდან  
დაწყებული წლებადღელი წლის 30

ინვრამდი (თითქმის ერთი წლის  
განმავლობაში) ბანკს გაუსესხებია  
სულ 513,415 მანეთი. ამ სესხიდან  
გრძელი ვადით არის გაცემული —  
465,500, მან. და მოკლე ვადით —  
47,915 მან.

ზრდელ-ვადიანი სესხი ბანკს გაუ-  
ცია — 54; აქედამ მხოლოდ 13 სოფ-  
ლის მამულების გირაოთი (124,000  
მანეთისა) და დანარჩენი — 41 ქალა-  
ქის მამულების გირაოთი (341,500  
მანეთის).

მოკლე-ვადიანი სესხი ბანკს გაუ-  
ცია სულ — 38, რომლიდანაც 18 სესხ-  
ი სოფლის მამულებზედა (28,975  
მანეთისა) და დანარჩენი 20 სესხი  
კი ქალაქის მამულების გირაოთი  
(18,940 მანეთისა).

ამ ანგარიშიდან ადვილად შეიტ-  
ყობთ — თუ როგორ სუსტად ასრუ-  
ლებს თფილისის საადგილ-მამულო  
ბანკი თავის უპირველეს დანიშნუ-  
ლებას, რომელიც იმაში მდგომარე-  
ობს, რომ სოფლის მამულის მეშა-  
ტრონებს იათის კრედიტით (სესხით)  
ხელი მოუშართოს.

მაგრამ, ჩვენი ჰაზრით, ბანკის  
ახლანდელი გამგეობა ამაში ყველა-  
ზე უფრო ხაკლებათ არის დაძაბავე.  
ის ბანკიდან სესხის აღების სიძნელე  
წარმოსდგება უმთავრესად იმისაგან,  
რომ ჩვენი მამულები ჯერ გამიჯნუ-  
ლი და გაყოფილი არ არის და ჩვენ  
ჩვენს საკუთრებაზე ნამდვილი, უდა-  
ვო საბუთები და დოკუმენტები არა  
გვაქვს.

### დღიური

ჩვენ შევიტყუეთ, რომ მისი მალა-  
უსამდღელეოესობა საქართველოს

იქიდან გამოდის. ის ოთახი უმთა-  
ვრესი შტაბია: ბრძოლის პლანები,  
ახალ-ახალი ტაქტიკა აქ იბადება და  
წყდება...

თავს-მჯდომარენი და ინტრიგის  
გამომკვანძენი ამ ორაკულთ დასისა  
არაიან ბ. და ნ. ლოლბერიძენი; კვე-  
რის დამკრანენი და დამსწრენი — ბ. და  
ს. ლოლბერიძენი და პ. და ბ. ლადი-  
ანი, მყვირალნი და ხალხში გამტან-  
ნი — მ. ღარაბეულიძე, ბ. ღებუაძე  
და ბ. ლადიანი. ანტ. ლორთქიფანიძე  
სამივე როლს ერთნაირის ხელო-  
ვნებითა და მოხერხებით თამაშობს...

მაგრამ ამ პირებზე შემდეგ...  
10 საათზე შემოდინ თავს-მჯდო-  
მარე და კომისიის წევრნი. ძაცი იმათ  
არავითარ ყურადღებას არ აქცევს.  
„ქენჭი! ქენჭი! ქენჭი მოგვეცითო!“  
ყვირის სცენასთან მიჯგუფული ხალ-  
ხი. ამ ხმაურობაში ჩვენ გამოვიცუ-  
ნით მყვირალი ხალხის სურვილი,

მესარხოსი და მაკარი არხიმანდრიტი  
ამ ქაშად ქუთაისში იმყოფებიან იმ  
განზრახვით, რომ ქუთაისის გუბერ-  
ნიის ყველა მონასტრები დათვალი-  
ერონ ყოველის მხრითაო. ამბობენ  
აგრეთვე, რომ ამავე საგნისთვის პე-  
ტერბურლიდამ უწყობინდეს სინოდი-  
დამ ერთი ჩინოვნიკი არის გამოგზა-  
ენილი და ისიც იმათთან არისო.

მადლობა ღმერთს! როგორც იყო  
ამასაც მოვესწართ: ქალაქის რჩევამ  
მოსპო ის მანეთის გადასახად, რომ-  
ლის გამოც ჩვენს საზოგადოებაში  
და გაზეთებში ამდენი უკმაყოფი-  
ლება და დრტინვა იხმოდა. ნურა-  
ვის ნუ ეშინიან ახლა, რომ გზაზე  
დაეცეს ვინმე და თუ მანეთი არ მი-  
სცა, სადმე სოროში შეათრიონ და  
ან ქაშარი, ან ქელი, ან ჩოხა,  
ან სერთუკი წაართვან... თიფ-  
სუფლად, უშიშრად შევიძლიანთ  
დღეის შემდეგ თფილისის ქუჩებზე  
იაროთ...

თითქო უკანასკნელი სულთაბრ-  
ძოლა იყო ამ გადასახადისა, ერთმა  
მებღელეთემ ამ დღეებში დიდი მხნე-  
ობა გამოიჩინა და დაჭირვაში: ერთს ვიღაცა უბილეთო  
ბიჭს გამოსდგომია ეს მებღელეთე  
მტკერის პირას; ბიჭი გაქციულა და  
მტკერში არკი შეიშულა; მებღელეთეც  
თან შეჰყოლია, და შექნილა წყალ-  
ში ერთი გაცხარებული ჭიდაობა და  
ყვირილი. ბევრი მოხვედრია უფ. მე-  
ბილეთეს გვერდებში, ბევრი წყალი  
ჩაუყლავას... ბოლოს როგორც იყო  
ხალხი მოშველებია და გაუშობინე-  
ბიათ.

\*\*\*

რომ ბანკის თავს-მჯდომარეს (გამგე-  
ბელს) კენჭი უყაროთო.

კომისიის წევრი უფ. ნ. ლოლბ-  
ბერიძე წამოდგება წინ, სცენაზე, ხელ-  
ში წინანდელი სხდომის პროტოკო-  
ლი უჭირავს და ანიშნებს ხალხს, რომ  
ამის წაკითხვა მაკალეთო. არც იმის  
თხოვნა და არც თავს-მჯდომარის  
ზარის რაწყენი, რასაკვირველია, კაცს  
არ ესმის. მარჯვენა მხრით ისევ —  
„ქენჭი, კენჭიო!“ ყვირიან და მარ-  
ცხენა მხრიდან კი — „ჯერ ანგარიში  
წაგვიკითხოს კომისიამო!“

ბოლოს თითქო ბევრისა ხმაურობ  
ბისაგან დაღალული ხალხი დაწყნარ-  
და! ამ შემთხვევით უეცრად ისარ-  
გებლა ნ. ლოლბერიძემ და საჩქა-  
რად, თითქო ვინმე უკან მოსდევ-  
სო, წაკითხა პროტოკოლი, თუმცა  
იმის კითხვა ათასს კაცში მგონი  
ათსაც არ გაუგონია რიგინათ.  
უფ. ნ. ნიკოლაძემ გამოაცხადა

## ფელტონი

### ქუთაისის საზოგადო კრება

### მესამე სხდომა

24 აპრილს

დღევანდელი სხდომა მოგვაგონებს  
პოლშელების სემისა ანუ ფრანკუ-  
ზების პარლამენტის აღშფოთებულ  
სხდომებს.

შველანი მღელვარებენ, ყველა  
ცხარობს, ყველას რაღაც მოუთმენ-  
ლობა აწერია სახეზე.

შემისათაც თავიანთი რიცხვით  
გამაყებული მეგრელები — დღეს უფ-  
რო დიდგულად, უფრო ამაყად და-  
იარებიან. მტყობათ, რომ იმათ  
რაღაც გადაწყვეტილება მოუტანიათ  
თან სხდომაზედ და მტკიცეთ და-  
დგებიან ამ წინათვე განზრახულის  
ჰაზრის შესრულებაზედ.

პარტიები ერთმანეთს ათვლიერე-  
ბენ; დავიდან ფეხებამდი ზომენ ერ-  
თმანეთს მრისხანე თვალით, თითქო  
უნდათ შეიტყონ — ვინიციბობა ჩხუბი  
რომ მოხდეს, ადვილად მოსარევი  
იქნება ეს ჩემი მოწინააღმდეგე, თუ  
არაო.

მეგრელები ცალკე შეჯგუფულან  
სახლის ეზოში, ნაწილ-ნაწილად გა-  
ყოფილი იმერლები ცალკე, რაჭველები  
და ლეჩხუმლები კიდევ ცალკე.

თითოეულ წრეში ორატორი დგას  
და რაღაცას უხსნის, ელაპარაკება და  
უქადაგებს თავის მომხრეებსა.

ამ დროსვე არის ერთი გაცხარე-  
ბული განხილ-გამოხიობა და ჩუბ-  
ჩული კერძო, გავლენიან პირებისა.

ორაკულები ლოლბერიძეების და  
მეგრელების პარტიისა კომისიის ო-  
თახში არიან შეკრებილნი და ყოვე-  
ლი ახალი განკარგულება, ახალი  
კომბინაცია, ბოძანება და პაროლი



მეორე ამბავი, რომელიც ამვე ქალაქის მამგობას შეეხება:

ამბობენ, რომ ქალაქის სახელოსნო უბრალოდ ბევრი უწყისობა არის. სხვათა შორის, ჩვენ გვითხრეს, რომ, თუმცა წესდებით თავი სტარშინები ყოველ სამს წელიწადში ერთხელ უნდა იქმნენ ამორჩეულნი და ამქრის უსტაბაშები კი ყოველ წელიწადს; მაგრამ 1871 წელს აქეთ ქალაქის მამგობას ერთხელაც არ დაუნიშნავს არჩევანი და ამნაირად ერთი და იგივე უსტაბაშები ხუთი წელიწადია შეფობდნენ და როგორც მსურთ, ისე მიჰყავთ სამქრო საქმეებში.

ჩვენი ქალაქის მამგობისთვის ეს ახალი ამბავი საინტერესო უნდა იყოს...

\* \*

იერის ხეობის გზის თაობაზე ჩვენ ნამდვილად შევიტყვეთ, რომ იმ კონტრაქტის ძალით, რომელიც უფ. მასილ შირხუაშვილს შეუკრავს ოფილისის მუხრანის სამმართველოსთან, ის ვალდებულია რემონტი უყოს ამ გზას ოფილისიდან სართიქალამდი (ნემეცების კალონიამდი — მარიენფელდამდი) ორი წლის განმავლობაში, 1875 წლის 1 იანვრიდან ეიდან 1877 წლის 1 იანვრამდე. სარემონტო გზის სიგრძე 33 1/4 ვერსია. წელიწადში ამ რემონტისათვის უფ. მ. შირხუაშვილს ეძლევა ხაზინიდან — 8,520 (რვაათას-ხუთას-ოცი) მანეთი.

\* \*

თუმცა ერთ-დღიურის აღწერის შედეგი ჯერ არ გამოცხადებულა, მაგრამ, როგორც ისმის, ამ აღწერამ, ჩვენს ქალაქში დაახლოებით 88 ათასი სული სცხოვრებს.

\* \*

დიდი თავადის ქაეკასიის ნამეტნიკის დამტკიცებულის პლანით, წელს გამოქნვა ქაეკასიის შემდეგ ადგილებში იქნება:

მუთაისის გუბერნიაში: 1) მუთაისის უბნში გამოქნვა განგრძელდება ოკრიბაში, დასავლეთით

სურვილი, რომ ორიოდ სიტყვა სიტყვას პროტოკოლზე, რომელშიაც „ჩემი ჰაზრი, წარსულ სხდომაში გამოთქმული, სწორეთ არ არის მოყვანილი.“

ეს სურვილის გამოცხადება სურვილის გამოცხადებამ დაჩა: ის ხმაურობა და ყვირილი რომ გაგვიგონათ, რომელიც ნიკოლაძისაგან ამ სიტყვის თქმის სურვილმა ასტეხა, გეგონებოდით, რომ ამ კაცმა რაღაც მომხიბლველი შხამი წარმოისრალა პირიდან და უეცრად მოსწამლა მთელი საზოგადოება. უკანასკნელი ნახევარი საათის განმავლობაში კრებაში ისეთი ხმაურობა შეიქნა, რომ კაცი ვერ გამოიკნობდა — ეინ და რას თხოულობდა და რას ყვიროდნენ. ბოლოს დაწყნარდნენ ცოტაც არის და მხოლოდ მაშინ თითო-ორი კაცის წამოყვირებით, გაიგეთ, რომ ერთი ნაწილი კრებისა, უფ. ბ. ლა-

ბრდილოეთ-დასავლეთით ტყიბულისა, რომელიც შარშან გამოქნა, და აგრეთვე ბაღდადის ტყის დასავლეთით. 2) მსურვეთის უბნში გამოქნას დაიწყებენ ჩოლოქისა და მურიანთის მამულებში და შემდეგ ამ ადგილების ჩრდილოეთითა და დასავლეთით. 3) სურვილისა და სენაკის მახრამი გამოქნა დაიწყება შემდეგ სოფლებში: ტულისპარში, ობუჯის, ზენის, ხეთის, ანაკლას, ჩიტაწყალს და ღერჩენის.

შავი ზღვის მახრამი გამოქნვა იქნება იმ მიწებისა, რომელიც უმაღლესად ნაბოძებია ქაეკასიის სამსახურისათვის და რომელიც მდებარებენ ტუტუიუკისა და ლოგუბის მდინარეების ნაპირებზე, აგრეთვე მდინარის ტუაპსესა და ღრმის ხეობებში.

**„ღრმის“ კორმისკონდენსია**  
ჭიხიყიამ, აპილის 30

პრიქა, გვიშველეთ, დაიწვიეთ სიციხით, აღარ არის სულის დგმა; გახმა მთელი ჭიხიყი! მგონიარც ეკატორზედ იყოს ეგეთი პაპარაქება სიმხურვალე, როგორც აქა!

მართლა და ერა ღეთის წყრომა ჩვენ თავზედ, რომ ერთ ზეციურ წყალს ვერ ველირსეთ!

აგერ ერთი თვე სრულდება, რაც ცა ახალ პირ-დაბანდ და ფერ-წასმულ პატარძალს დაემსგავსა; არ იქნა ერთი იმისი გაბუტვა, გაკაპასება განხსნება, რომ ერთი წარბები ჩამოუშვას, შუბლი შეიკუმხნოს და ღორბლით დასველოს გამჯაერებელი...

მისაც არ შეხედებით, ყველა უწიმიდაზოდ ონონობა: ისიც არ დავილაპარაკებთ, ყველა გვალვანზედ ჩამოგარაკებს. არის ერთი მალა ხელების ტოტინით ვედრება, მაგრამ მაინც არა და არა!

„დიდებაზედაც“ წაიღნენ ღიაცები; საღმრთოც გადაინადეს სოფლებმა, მაგრამ მაინც არა და არა! იქნება არ იცოდეთ, თუ რა არის „დიდება“ და „საღმრთო“?

შაქურდება რამოდენიმე მოხუცებული „ადამიანები“ (დედაკაცები), - ზოგი კაცებიცა, — ჩამოივლიან სო-

ლაბერიძისა და ბ. ღებუაძის ნიშნებით, ყვიროდა და თხოულობდა, რომ ნიკოლაძეს სიტყვა არ მიეცეს, პირ-დაპირ ბანკის თავს-მჯდომარისთვის კენჭის ყრას შეუდგეთ; მეორე კი — ჯერ ნიკოლაძეს ვაცალოთ სიტყვა და მერე ანგარიში უნდა წარმოგვიდგინოს კომისიამ თავის მოქმედებისაო..

ძალიან კარგი, პატიოსანი თავს-მჯდომარე ჰყავდა მუთაისის კრებას. მაგრამ ერთი ნაკლულევენება ჰქონდა, რომლის გამოც ის რიგანათ ევერ იცავდა ჩვენს სხდომებში წესიერებას:

მოველ ამ გვარ მრავალ-რიცხვოვან კრებას, და განსაკუთრებით ისეთს ცხარე და მღელვარე ხალხის კრებას, როგორც იმერლები, გურულები და მეგრელები არიან, თავს-მჯდომარედ ისეთი კაცი ეჭირება, რომელიცა შეხედულდება ზორბა ჰქონდეს,

ველ — სოფელ ტირილით, რომელიც შიდაც სთხოვენ ღმერთსა, რომ წემა მოვიდეს. იღებენ ფულებს, პურ-ღვინოს, დასხდებიან გრილოში და ჩამაყოლებენ ჯიხებს. ეს არის დიდება.

ბ. მორღებენ შეძლებული მოსახლეები ფულებს, პურ-ღვინოს, გააკეთებენ სადილს, წირვინებენ მღვდელს, დაიბატებენ ნაცნობებს, მათთან ღარიბ გაჭირებულებსაც და ევედრებენ ღმერთს წემა მოვიდეს. ეს არის საღმრთო, რომელიც ყოველ წლებით და ყოველსოფელში იცაენ. მხოლოც ასრულებს ეს ჩვეულება, მაგრამ ბუნების მოვლენას წინ ვერ აღუდგნენ, — არ მოვიდა წემა.

ბოლოს შეიქნა ფაცა-ფუცა ქალებშიდაც.

— აბა, ქალებო! ჩვენც გადაიხადოთ საღმრთო, იქნება ჩვენი თხოვნა უფრო მიიღოს ღმერთმა! მუხნებოდნენ ქალები ერთმანერთს.

„ბედი მომეცი და სანცხევზედ გადამაგდო,“ — რო იტყვიან, სწორეთ ისე მოუვიდა ქალებსაც. ამ თვის 28-ს, საღამოზედ დაწყეს საქმე, მისცეს ერთმანერთს პირობა, რომ მეორე დღეს ერთი პიქნიკი გამოართონ, ქეფი გაატარონ. დაბინდა თუ არა, მოგვესმა „წმინდა ბიორგისგან გატყენებული ცხენის ფეხის ხმა,“ რამოდენჯერმე „ჩამოვარდა ცეცხლი ცილამ,“ „გაიბერა ღრუბლები ზღვაში, ავიდა მალა,“ ჭიხიყის პირდაპირ, და დაიწურა, — დასხა მშვენერი წემა.

წარმოიდგინეთ მოთავე ქალების სიხარული, ტაშის კერა, კაცებზედ ნიშის მოგება!... მოვიდა, მოვიდა წემა, მაგრამ იმდენი, რომ სათქმელიც არ არის; (მხოლოდ საბუთი ქალებსა, რომ ამათილოცვა უფრო მოისმინა ღმერთმა, მინამ კაცებისა.) მრთი-ორი წამი იწვიდა და ისევე დადებოდა, ღმერთს მსჯობდათ ალყეაებულნი ღიაცები. ჯერ ადრეა, გლენური სადილობა, მასანადამე დრო არ არის სადილობისა: ხუმრობაა, რომ გაუნათლებლობათ ჩამართვან ეგრე ადრე სადილობა! პირია ერთმანეთში დაირის და „ბუზიკის“ ხმა: „ტაშ, ქალებო!“ მოისმა კაპელმეისტრიდამ. ბაძლიერდა ტაშიც. ჩამოუარეს რიგ-რიგზედ თეითულმა ლეკური ვარო, პოლკათუ სხე; ერთი სიტყვით, ყოველ „ჯურის“ თამაში ჩამიარგეს. საათის ისა-

ხმაც შესაფერი და თავის-დაჭერაც რიგინი; იმას უნდა ჰქონდეს ისეთი ზნეობითი ძალა, რომ კრება დაიმორჩილოს, ყველას პატივისცემა ჰქონდეს იმის სიტყვისა და რჩევის, უნდა ჰქონდეს ორგოლი, „აბაინიეო“, რუსები რომ ამბობენ. ჩვენს თავს-მჯდომარეს, საუბედუროთ, ეს თეისება აკლდა, და ამის გამო იმის თხოვნა და ბრძანება არ გადიოდა.

ამ ხმაურობისა და აყალ-მაყალის დროს კომისია და თავს-მჯდომარე ისე წახდა, ისე დაიბნა, რომ იმათი დანახვა შეგებრალებოდათ: ხან დაჯდებოდნენ, ხან ადგებოდნენ, ხან თითქო სალაპარაკოთ წამოიწვედნენ და ხან სრულებით სასოწარკვეთილებაში ჩაეარდნილნი თავიანთ ადგილებზე ჯდებოდნენ. ნ. ლობერიძე თითქო მიტყუებული იყო თავს-მჯდომარესთან: ერთს მინუტსაც არ შორდებოდა და მუდამ რაღაცას წასჩურ-

რი მეორეზედ მივიდა რიგ-რიგით „შაბეს გუთანი“ (სადილოთ დასხდენენ) სხვა რა გინდათ? სადილი, ჩვეულებებისა-მებრ, მხიარულით, ე. ი. სიმღერით, ათას გვარი საღმრთოებოებით გადაგორეს. სადილს უკან ისევე დაირგარმონია, ტაშისა ზედ თამაში განაგრძელეს დაუღლოდათ ხუთ საათამდისინ. აბა ეხლა „სმოვარი“! „აში-შინდა სამოვარი; დაიცალა კიდევ. მოაწია საღამოს შექმაც, შან წასელოს დროა. მრთი წასელოს „მარშიც“ დაუკრეს, ითამაშეს და დაიფანტნენ.

მე იყო ქალების საღმრთო, ანუ უკეთ ვსთქვათ, პიქნიკი. მორჩა და გათავდა! მალი მოიშორეს, მაგრამ წემა კი, რისთვისაც შეწყუბდნენ, არ მოვიდა. მეორე დღესაც ჩვეულებრივი სიტყე. მხოლოდ მესამე დღეს, 29-ს ღამე მოვიდა ცოტა წემა.

ამ ეგეთ მდგომარეობაში არის ჭიხიყი უწვიმობით და სწორეთ შესაბრალეობაც არიან. „თუ ერთ-ორ კვირასაც ვერ გვალვა გასტანა, ბარემ წარღვნა რო მოვიდეს, ის აჯობებსო,“ მითხრა ერთმა მუშა კაცმა, რომელსაც დავეითხე თუ რა შედეგი ექნება ამ უწვიმობას. „თუ წემა არ მოვიდა, ერთი მუჭა არაფერი მოვა და ისევე წარღვნა არა სჯობია ერთმანეთის შექმასო?“ მითხრა მეორემ.

მ. შირიძე

**რუსეთი**

გაზეთს „ოფილისის მოამბეში“ დაბეჭდილია პეტერბურლიდამ 5 მაისის გამოგზავნილი დეპეშა, რომელიც გვაცნობებს, რომ ქრონშტატის ციხეში ოც-და-ორ ზარბაზნიან ჯავშნიან ხომალდს ამზადებენ და სოლონიკში (ოსმალეთის ქალაქში) უნდა გაგზავნონ. ამავე ქალაქში ორი რვა-ზარბაზნიანი ცეცხლის გემი გაუგზავნიათ რეველიდამ.

\* \*

რუსულს გაზეთს („მალეაში“) დაბეჭდილია, რომ იუსტიციის სამინისტრომ სახელმწიფო რჩევაში შეიტანაო დასამტკიცებელად ახალი წესდება შესახებ გუბერნიის სამომრიგო სასამარლოსა. ეს ახალი დაწესება ყოველს გუბერნიის ქალაქში იქნება


ჩულებდა ხოლომე ხან მარჯვენა და ხან მარცხენა ყურში.

სამჯერ შეაჩერეს სხდომა. სამივეჯერ ადღელებული ხალხი შევარდებოდა უმთაერეს შტობში, გამოჰყავდათ იქილამ თავს-მჯდომარე და კომისიის წევრნი და დასვამდნენ სცენაზე.

სამჯერ დაუძახეს უფ. ნიკოლაძეს, სამჯერ წამოაყენეს ის კათედრაზე სიტყვის სათქმელად და სამივეჯერ ისეთი ხმაურობა ატყდა მოწინააღმდეგე პარტიში, რომ სიტყვის თქმა არ შეიძლებოდა.

სამჯერ შეცვიდნენ თუ ერთი და თუ მეორე პარტიის კაცი სცენაზე და სამივეჯერ მოწინააღმდეგეებისაგან ჩამოგდებულ და განდევნილ იქმნენ. პრაეიტარ გამაგრებულ პოზიციისთვის არ მომხდარა ისეთი გაცხარებული შეტაკება, ომის დროს, როგორც ამ სცენის დაჭერისათვის. ლე-





დადგენილია და იმის უფლება მთელს გუბერიაზე გაეცემა. იქას შეადგენს ადგილობრივი ოლქის სასამართლოს თავს-მჯდომარე, იმის ამხანაგი, ერთი წევრი ამ სასამართლოსა და სამი მომრიგებელი მოსამართლე, და სხვათა შორის, მომრიგეთა კრების (Мировой съезд) ყველა გადაწყვეტილებების მოსპობა შეეძლება.

**დოკუმენტები საზრუნველისა და სამართავლოს დამოკიდებულების შესახებ**

(გაგრძელება)

ქოსტანტინოპოლში სულხან საბა ორბელიანი ჰსცხოვრობდა დიდს სიღარიბეში და გაჭირვებაში იმ ქალაქის კაპუჩინებთან. მისი მიწერ-მოწერა საფრანგეთთან თავდება შემდეგ წერილით:

„მდლის მეფის გულითადად ვეზირთა მუსუ პონშანტრან

„მ. ტქენი გულის სიყვარულები ასეთები ასე ვიცი, ჩენი ამბავი გინდათ. ამის წინათაც მოგწერეთ ჩენი ამბავი, და ჩენ დიდს მეფის წყალობითა და თქვენის საქმითა მართლად წამოვედით; ზღვაში ავიღარები დაგვიდგა. ზმირინს მოვედით. მე ხომალდი არ გავსულვარ, მაგრამ იმ ხომალდში თათრები ოცდაათამდე შემოვიდნენ მგზავრად. ჩემი სახელი შეიტყვეს, უნდოდათ ქოსტანტინოპოლეს ერთი რამ ჩხუბი ექნათ: კთ; იანვარს ქოსტანტინოპოლეს მოვედით.

„ჩენი მოსვლა რა მღის შეეტყო წინ ნავი მოვეგებებინა, ხომალდიდამ მოგვიყვანეს. თუ ის ნავი არ მოგვსვლოდა, არ ვიცი თათრები რას იქმოდნენ. ეს რომ ნახეს თათრებმა ვეზირს მოახსენეს; მაგრამ მღის საქმით მოერჩით; როგორც უწინ, ისე დიდს პატივით დგავყენა, კის ხელის-შეწყობითა ჩენ-ზე მრავალს ირჯება.

„ჩენის ქვეყნიდამაც წიგნი მომივიდა და მახტანგისაგანაც, რომ მახტანგ ქრისტიანობისათვის აღარ გამოუშვიათ. იქ ერთი მისი უფროსი ძმა იყო თათრად, ის გამოუგზავნიათ. მართლდნი შუა გაყოფილან; ზოგი იმასთან მისულა, ზოგი ბაქრთან მისულა, მახტანგის შეილთანა, და ძვეკასის მთის ძირს დამდგარან მაგრა, და ამაში დიდს აშლას გაეს.

„მე დიად გულით დაუბარებიათ, ჩემს ძმებსაცა და სხვა დიდს კაცებსაცა, რომ ჩემი თავი ეჭირებთ; მაგრამ ვერ წავსულვარ რომ თქვენსა და მეფის ბძანებას ველო. მანდ რომ გვიბძანეთ „ქოსტანტინოპოლეს მიდით, იქ ელხთანაო, და ჩენც კაცს გამოვეგზავნითო,“ ამ ამბების მომლოდნე ვარ, და მისიონერებისა; არსად მისიონერები გამოჩნდნენ. ამ საქმემ დიად გამალონა.

„მახტანგის შევლის დრო ეს არის, თუ დიდს მეფეს ეპრიანება. შიხილ ბაშნი ერთს პირზე არ დადგებინ, მუსუ რიშარც კარგა იცის. და თუ მისი შევლა გინდათ, მალე უჯობს; თუ არა ეს ახალი მოსვლა ბატონი კათოლიკები-სათვის კარგი არ არის, თვარამც თქვენც შეიტყობთ.

„ეს მუსუ ბეზო \*) ჰკვიანი კაცია, და მღიცი ამას არჩევს აჯამში გასაგზავნად. აჯამის ქვეყნის საქმე კარგად იცინ. და თუ სხვა ამბავი რამ მოვიდა, თქვენი მოსახსენებელი, იმასაც მოგახსენებთ.

მუდამ თქვენი მლოცვი ვართ რომ ღმერთმან დაგიფაროსთ. 1715, აპრილის 7. საქართველოს ახალ ამბები, \*\*) დართული საბა ორბელიანის წერილითან (1715 წ. 18 თებერვლისა) \*\*\*) მართლის კათოლიკოსს \*\*\*\*) სპარსეთში მიუწერია, რომ იგი გათათრდება, \*\*\*\*\*) თუ მას მართლში მეფობას მიჰსცემნო. როდესაც ამაზე ნება მიიღო, იგი გაემგზავრება მართლში.

\*) M. Bizi. \*\*) შრანცუხულით. \*\*\*) ეს ეკუთვნის უფრო უკანასკნელ წერილს. \*\*\*\*) ეს იყო ღომენტი, მახტანგის უნცროსი ძმა. \*\*\*\*\*) იქ ერთი მაგალითი სარწმუნოების და ხალხის მონების ერთმანერთში შერევისა. მაგრამ იმ დროის ქართველს პოლიტიკურ მოქმედს ამის საფუძველი ჰქონდა.

— ძირს! ძირს! ძირს!... ნამდვილი შეხეტქება, ეხლა შეიქნა. შესანიშნავია, რომ მოლაპარაკე და მყერალა ხალხი სადღაც გაქრა: ასპარეზი სხვებს დარჩა. მქვის ძმა ახვლედიანები და მათში ყველაზე უფრო გამოჩენილი ვაჟკაცი — თეიმურაზ ახვლედიანი ლომებივით იყურებოდნენ. თვითონ ჩამოვიდნენ ძირს სცენიდამ, მაგრამ არც მეგრელები დასტოვეს. შვირლით გავარდა კარში ეს ურდო გროვა ხალხისა. ბალკონზე დიდხანს არ დარჩენილან: ყველა კიბისაკენ მიაწვი; დამალმა კიბემ ვერ გაუძლო ამდენ ხალხს, ჩატყდა და ეს ორას-სამასი კაცი „ვაი-უის“ ყვირლით გაცვივდნენ საახნაურო სახლის ეზოში.

თლში შესასვლელად. მაგრამ ქართველში შესასვლელად. მაგრამ ქართველმა გაიგეს მისი განზრახვა, დაიჭირეს იგი და გააგდეს მათის ქვეყნიდგან. სპარსელებმა რომ შეიტყვეს ეს გარემოება, მათ ჰსთხოვეს ხელახლად მახტანგს, რომ იგი გათათრებულყო, რომ ამ საშუალებით იგი მიღწეულიყო თავის სამეფომდი და იქ რომელიც ჰსურდა ის სარწმუნოება მიეღოს. ამაზე მახტანგ დაეკითხა მათ მისიონერებს, რომ შეეტყო თუ შეიძლებოდა ასე მოქმედება. მათ უპასუხეს რომ ქრისტიანობის არც დათარვა შეიძლებოდა და არც საჩვენებლად მისი მიღებოდა. ეს პასუხი ფრიად გამაზნეველი დარჩა მახტანგისთვის მისს სარწმუნებაში: მან გამოაცხადა, რომ მზათ ვარო ჩემი სიცოცხლე შევსწირო ჩემს სარწმუნოებასო. მაშინ ჰსცნეს სპარსელებმა რომ მახტანგ არ იყო იმისთანა კაცი, რომლის დათანხმება მათს სურვილზე შესაძლო ყოფილიყო. მათ მოითხოვეს ვითომ მართლში მათ გაეგზავნოს ერთი მახტანგის ძმათგანი ალი-შული-ხან, რომელიც დიდს ხნიდგან გათათრებული იყო და ნიადგ ისპაანში ჰსცხოვრობდა. მახტანგმა უპასუხა, რომ ამით ვერას დააკლებენ, და კმაყოფილიც იქმნება თუ მისს ძმას გააგზავნიან მისს ადგილზე. როდესაც ნახეს რომ ამო იყო ყოველი საშუალება მახტანგის გადასაბირებლად, მაშინ მათმოაცილეს მახტანგს ყველა მოსამსახურეები, რომელთაც შეარდგენდნენ 400 ქართველები. ამ მოსამსახურეებს უბძანეს საქართველოში წასვლა. მახტანგს დაუტოვეს მხოლოდ შვიდი კაცი. შემდეგ ამისა მფეფ დარჩა თავის პალატში, იმას აღარ მოუთხოვია 200 პიასტრი (\*), რომელიც შეარდგენდა მისს დღიურ ჯამაგირს. სოფიმ ჰკითხა მას, თუ რათ არ მიჰქონდა თავის ჯამაგირი და რათ არ გამოდიოდა, ჩეიულებსამებრ, სახლიდგან. ამაზე მან უპასუხა, რომ, რადგანაც კაცები ცოტა დამრჩაო, თულებიც ცოტა მყოფნისო; ამავე მიზეზით არც გამოვიდნენ.

\*) 270 მანეთამდი.

მოვდივარო; სახლში კი დიდს სიამოვნებით ვრჩები; აქ შემიძლია უფრო მოსვენებით ვილოცოვო და ვემსახურო ღმერთსო. სოფიმ გამოჰსცადა ყოველი ღონისძიება მახტანგის გასამაჰმადიანებლად; რა ნახა, რომ ამო იყო ყოველიფერი, მან გადაჰსწყვიტა მახტანგის ადგილზე ალი-შული-ხანის გაგზავნა, რომელსაც უბრძანა ისპაანდგან თეირიზში ჩასვლა 60 დღის განმავლობაში, მაშინ როდესაც ამ გზის გარება შეიძლებოდა 27 დღეში. ამისთანა ზომებს ხმარობდნენ სპარსელები მახტანგის გასათათრებლად. სოფიმ უბოძა იმავე ალი-შული-ხანს უმთავრესი ზედამხედველობა რვა თემზე, რომელიც მართლის სამზღვრებზეა; მათ შორის ერთს ეწოდება ლორი, მეორეს შახხი და უკანასკნელს შამშადილუ. იმ დროის განმავლობაში, როცა ალი-შული-ხანი გზაში იყო, სოფი ხშირად უგზავნიდა მახტანგს მოციქულებს და შეძლებდა მართლს ყველა უპირატესობით, რაც მისს ძმას დახვდა, და ბევრს მეტსაც ჰპირდებოდა, თუ მახტანგი გათათრდებოდა. რადგანაც მახტანგისაგან ისევე ის უარი მიიღო, სოფიმ ბოლოს უბრძანა ალი-შული-ხანს მართლში შესვლა.

1714 წ. ოქტომბრის დამდეგს ალი-შული-ხან ჩავიდა თფოლისში. მაშინ მახტანგ მეფის შვილი ბაქარ თავის დედით, რომოდენიმე ქართველ თავადებით, (რომელთ რიცხვში იყენენ მახუშტი, სიძე მახტანგისა, დიმიტრი, მეფის სახლთ-უხუცესი და სულხან საბას ძმა, თეიმურაზ, დედოფლის მოურავი, და ბიორგი ამილახვარი, ბიძაშვილი მახტანგისა და სიძე ბიორგი მეფისა) და მრავალს ხალხით გავიდა ძვეკასის მთებისკენ. სხვები, ვინც არ ისურვა მათი გაყოლა, წავიდნენ ახალ მეფის შესაგებებლად. ალი-შული-ხანმა რა გაიგო, რომ ქართველების დიდი ნაწილი მთებში წავიდა მისის ძმისწულით, მან გაგზავნა თავის მდივანბეგი ბაქარის მოსანახვად. მდივანბეგს უნდა ეკითხა ბაქარისთვის და ყველა იმათთვის, ვინც მას გაჰყვა, თუ რათ არ მორა-

ჩხუბლებმა და რაჭველებმა დაიჭირეს ბოლოს ბრძოლის ასპარეზი—სცენა. მეგრელები ყველა ერთიანთ გავიდნენ გარეთ და ხის ძირში მოჯგუფდნენ. შეიქნა გაცხარებული ბასი, გაცხარებული გაგზავნა-გამოგზავნა მოციქულებისა ამ კრებასა და „უმთავრეს შტაბს“ შუა.

პირველი საათის ნახევარი იყო, როცა მოლაპარაკების შეძლებ, მეგრელები ყვირლით შემოვარდნენ ყველანი ერთად ზალაში, ავარდნენ სცენაზე და მოინდომეს იქილამ რაჭა-ლეჩხუმის ჩამობრძანება.

ამ დროს წარმოითქვა პირველად სიტყვა, რომელიც ასე ხშირად ისმოდა მას აქეთ კრებაში და რომელსაც ესეთივე მოქალაქობა მიეცა, როგორც ფრანკულელს „à bas“—ს აქეს ანუ რუსულს „долой.“ ეს სიტყვა იყო: „ძირს!“

— ძირს! ძირს! ძირს!... ნამდვილი შეხეტქება, ეხლა შეიქნა. შესანიშნავია, რომ მოლაპარაკე და მყერალა ხალხი სადღაც გაქრა: ასპარეზი სხვებს დარჩა. მქვის ძმა ახვლედიანები და მათში ყველაზე უფრო გამოჩენილი ვაჟკაცი — თეიმურაზ ახვლედიანი ლომებივით იყურებოდნენ. თვითონ ჩამოვიდნენ ძირს სცენიდამ, მაგრამ არც მეგრელები დასტოვეს. შვირლით გავარდა კარში ეს ურდო გროვა ხალხისა. ბალკონზე დიდხანს არ დარჩენილან: ყველა კიბისაკენ მიაწვი; დამალმა კიბემ ვერ გაუძლო ამდენ ხალხს, ჩატყდა და ეს ორას-სამასი კაცი „ვაი-უის“ ყვირლით გაცვივდნენ საახნაურო სახლის ეზოში.

შართო საბრძოლველ ასპარეზმა როგორღაც დაამშვიდობა ეს ადლებული ხალხი: სანამ შეჯგუფებული იყენენ, შევიწროებული იყენენ ზალაში. როცა მინდორში გამოვიდნენ და ასპარეზი თავისუფალი და საკმაო მოეცათ, მაშინ კი დამშვიდდნენ... და მოშორდნენ ერთმანეთს... ასეა ხშირად ცხოვრებაში!...

დალაღული, დაქანცული, ხალხი დამშვიდა.

მეორე საათის ნახევარზე დაიწყეს კენჭის ყრა ბანკის თავს-მჯდომარის ამოსარჩევლად. ძანდილატებად ჩაწერილნი იყენენ: უ.უ. ბესარიონ ლაბერიძე, ლუარსაბ ლოლუა და დავით ბაქრაძე. ჯერ უფ. ბეს. ლაბერიძეს უყარეს კენჭი, რომლის

შედგვი ნასადილევის ხუთ საათზე შევიტყეთ, თუმცა აღრეც ადვილად შეიძლებოდა ეწინასწარმეტყველებინა კაცს: ბეს. ლოლაბერიძეს ამოუვიდა—731 თერთი და 201 შავი.

ახლად ამორჩეულმა წარმოასტქვა შემთხვევის შესაფერი, ოფიციალური სიტყვა, რომელშიაც გამოაცხადა, რომ, რაც ღონე და შეძლება ექნება, ყველაფრით ეცდება, რომ საზოგადოების მოლოდინი გაამართლოს. ამასთანავე ითხოვა, რომ კარგი, სანდო კაცები ამოურჩიონ ამხანაგებად.

დანარჩენ ორ კანდიდატმა: უფ. დ. ბაქრაძემ და ლ. ლოლუამ უარი განაცხადეს კენჭის ყრაზე.

მეამაჰ



# განცხადებანი

ბაიხსნა ახალი სარძეო სარდაფი

## „ქეკეთი“

სადაც შეიძლება შემდეგ ნაწარმობებში მიღება: კარაქისა, ნაღებისა, უმის რძის, გარდაღებული რძისა, ყველისა, მაწენისა, ჭაჭოსა და სხეულთა. მასის შეტყობა შეიძლება სარძეო სარდაფში, რომელიც იწყობება სასახლის მადანზე, შაბურის სახლში, მუხეუმის პირდაპირ. ზაფხულში სარძეო სარდაფის განყოფილება იქნება ძოჯორში.

(6-2)

შეიძლება ვთხოვთ იმ პირთ, რომელთაც გაეგზავნათ გასასყიდათ ამ წლის „დროისის ქალენდარი“. რაც შეიძლება ადრე გამოგვიგზავნონ ანგარიში: რაც გაუყიდათ ფული და რაც დარჩომიათ, გაუყიდავი ქალენდრები. ამას მით უმეტეს ვთხოვლობთ, რომ ზოგიერთი ადგილებიდან ეხლაც თხოვლობენ ქალენდრების გაგზავნას და სამწუხაროდ ჩვენ აღარ გვაქვს, რომ გაუგზავნოთ.

ადრესი ანგარიშის გამოგზავნის: *Въ Тифлисѣ, въ Типографію Евфимія Хеладзе*

(3-2)

### LA VELOUTINE

(ველუტინი)

ერთნაირი ბრინჯის კუდრი (უმარილი), ბისმუტით გაკეთებული.

ისეთი ზედმოქმედება აქვს აღმზანის ხორცის კანზე, რომ აღბობს და ახალგაზდა აღმზანის კანს დაამსგავსებს.

მანს ეკერება და არა სჩანს.

შ. ძ ა ი — გ ა მ ო მ გ ო ნ ი.

### pommade satin

(ატლასის კომადა)

ხელების კანის რბილად შესანახად; ზამთარში არ დაუტყდება ხელის კანი, ვინც ამ პომადას ხმარობს.

9, Rue de la Paix, Paris

156-31

ჩილობენ და რათ მიატოვებს თავიანთი მიწა-წყალი, რომლით სარგებლობა მათ მოსვენებით შეეძლოთ. მაგრამ მდივანბეგმა, თუმცა ნამდვილად იცოდა სად იყვნენ იგინი, გადაუხვია სხვა ადგილებში და, შემდეგ რამოდენიმე დღის უგზო-უკვლოდ სიარულისა, დაბრუნდა და მეფეს მოახსენა, რომ ბაქარ და მისი მომხრეები ვერ ვნახეო, მხოლოდ სხვებისაგან გავიგონეო, ვითომ იგი ჩერქეზეთში გადასულიყვნენო.

შველა ეს ამბები გამოდებულნი არიან მახტანგ მეფის, მდივანბეგის და რამოდენიმე ქართველ საეკლესიო პირების წერილებიდან, რომელნიც მოჰყვრეს სულხან საბას, და შემოწმებული არიან ერთის ახალციხელისმიერ, რომელმაც პლიქსოლი-ხანთან ერთად იმგზავრა ი. პანინიდან თიფლისამდე.

ამ დოკუმენტების შემკრები ამბობს, რომ საბას პირველი წერილები კარგად არიან ნაწერნიო; უკანასკნელი კი ძლიერ ცუდათო, მათში სჩანსო რომ დამწერს ჯავრი მოსდიოდა, რაცა ხედავდა მისის შრომის უნაყოფობასო.

ესე დაიწყო და ასე გათავდა მამარ ხალხთ შორის განწყობილება. მართი მათგანი დასაბამიდანვე კეთილდღეობისკენ მიჰყავდათ ბედნიერ გარემოებებს, მეორეს კი არ ჰსცილებოდნენ შეუწყვეტელი უბედურებანი. იუ პირველის არსებობის გასაქრობად თითქმის არც ერთს მეზობელს ხრმალი არ აუღია, მეორის სიცოცხლის მოსპობას ყველანი ჰსცდილობდნენ. რასაკვირველია, ამ განწყობილებას არაფერი სანუგეშო შედეგი არ ჰქონია.

მაგრამ ესეც გაწყობილება ერთს სანუგეშოს და ყურადღების ღირსს მოვლენას წარმოგვიდგენს. მერმე სად? იქ სადაც უფრო საჭირო იყო: თვით მაშინდელ ქართველ ხალხში, რომელსაც ოთხივე კუთხიდან უთრგუნვიდნენ თავისუფლებას. ამ გაქრებებაში ხალხმა გამოიჩინა თავის ძალა. მაგრამ სხეულობითი ძალა საკმაო არ იყო, რადგანაც ნტარვლებმა თავის სიპრაველით შეიძლეს მისი გაქრობა. ამ შემთხვევაში ხალ-

ხმა გამოიჩინა მეორე გვარი ძალა, რომლის გაქრობა არაღრის გზით არ შეიძლებოდა, და რომელიც მატულობდა და არა კლებულობდა, იმ ზომით, რა ზომითაც მტარვალთ თავის მხრით უმატებდა სასტიკობას და წვალებას. ეს იყო სულიერი ძალა, რომელიც მან გამოიჩინა სულხან მრბელიანის და სხვა ამის მგზავსთ პირებში. ახლა სულხან მრბელიანზეა ლაპარაკი.

შოველი ისტორიული პირი იმდენად არის საინტერესო, რამდენათაც მას გამოუაშკარებია თავის ჰაზრები და რამდენათაც მას უმოქმედია. მხოლოდ ამ ზომით არის იგი საინტერესო და ამ ზომით დაერქმევა მას ისტორიული პირი.

სულხან მრბელიანის ჰაზრები ძლიერ ცხადნი არიან. მეორეს მხრით იგი ყოველთვის მოქმედებაში იყო, და ეს მოქმედება ყოველთვის ეთანხმებოდა მისს ჰაზრებს. უფრო მეტიც, თვით მისს ჰაზრებს ვიცნობთ მისს მოქმედებიდან და მხოლოდ ამ მოქმედებიდან გამოგვეყავს ისინი.

მე მაქვსო, ჰფიქრობდა იგი, ჩემი სარწმუნოება, ჩემი საკუთარი შეხედულობა საგნებზე საკუთარი პრინციპები. მისაც უნდა გამოამაცვლეინოს ესენი და მიმალდინოს თვისი რწმუნება, მან დამიმტკიცოს რომ მისი ჰაზრებს ჩემსასო. როგორც კი ვინმე დამარწმუნებს ამაში, მე მაშინვე მივეყვები მასო. მაგრამ ძალას, ხერხს, მაცდურობას და სხვა ამისთანა უკანონო საშუალებებს არ უნდა ჰქონდესთ ადგილიო, და თვით მათი საქმეში მოყვანა ამტკიცებსო იმ ჰაზრის და რწმუნების უსაფუძველობასო, რომლის სასარგებლოდ ისინი იხმარებიაო.

ზონების ძალას რომ მაზე გავლენა ჰქონია, ამის ერთი ცხადი მაგალითი გვაქვს, რომელზეც ბაას არ გავაგრძელებთ.

მხოლოდ მოვიხსენიოთ ის, თუ როგორის სიმაგრიტ და ხასიათის ძალით დაიცვა მან თვისი რწმუნება, როგორ დაუდღეოდ ებრძოდა იგი ყოველ პირუტყეულს ძალას.

წარმოვიდგინოთ ჯერ, რა სარგებლობა ექმნებოდა სულხან მრბე-

ლიანს, მს რომ დაეტოვებინათ თავის ჰაზრები, დაევიწყნა „ხალხის კეთილდღეობა“, რომლისთვის იგი შრომობდა: სენიდილი თუ არ შეაწუხებდა, ყოველი სარგებლობა მისდა ხელათ იქმნებოდა. რომელი შაპი და რომელი სულთანი არ მიჰსცემდა საუკეთესო თემს, უდიდესს ჯამაგირს და უმაღლესს წოდებას, ოღონდ კი მას უარი ეთქვა თავის ხალხის ბედნიერების მეცადინეობაზე? რომელი მტერი არ ეცდებოდა იმისთანა კაცის გადაბირებას, რომელმაც, სულხან მრბელიანსავეთ, მძლიერი პოლიტიკური ნიჭი გამოიჩინა?

მართლაც, სულხან მრბელიანი ჩამოდის საფრანგეთში თავის ხალხისთვის შემწეობის სათხოვნად. მან იცის რა სახელით ითხოვოს ეს შემწეობა. მან იცის, თუ საჭირო იქმნება შავიერის დაპირება, რა დაჰპირდეს საფრანგეთს. თავის მოქმედებით იგი მიიქცევს საფრანგეთის ყურადღებას. თავის განმარტებულ გონების მაღლით იგი პოულობს მათ შორის მგებობებსაც.

შველა ეს მას შეეძლო საკუთრად თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა. მაგრამ არა, თავის თავი მას არ ახსოვს.

რავა ჰხვდა მას ამის წილად? სენიდილის კმაყოფილების გარდა, ყოველი უკმაყოფილობა და ყოველი უბედურობა. მის წინააღმდეგ იყო მტარვლის ძალა და მისი შეუბრუნებელი სასტიკობა. მან გამოჰსცადა წინააღმდეგის ხალხის გაეშმაგებული მისდამი სიძულვილი. მან გაუძლო საშინელს სიღარიბეს. მან წაიყრუა თავის შემოსავლიან მამულის დაღუბვა იმ უმაღლეს მამულისათვის, რომელმაც მას განუმარტა ნიჭი, მიჰსცა ცოდნა და ასწავლა ენა.

ლერთან იცის, თუ სულხან საბა მრბელიანი ჰფიქრობდა შთამომავლობისთვის კეთილ სახელის დატოვებას. იქმნება ამ სიამოვნებასაც მოკლებული იყო იგი. როდესაც იგი ხედავდა, რომ შეეღა არსადგან იყო, იქნება მისს თავში შევიდა ქართველობის აღსასრულის ფიქრი. და იმ გარემოებაში რომ გათავებულყო საქართველო, წინაპრებზედ ვინლა იფიქრებდა?

რაც უნდა იყოს, სულხან საბა მრბელიანმა შეასრულა თავის მოვალეობა და მაგიერში მას ჰხვდა— ეს კი სრულიად—ის კმაყოფილება, რომელსაც სული გრძნობს წმიდა მოვალეობის შესრულების დროს.

ა. შ.

რბ. მზა.	ლილა.	საღამ.	II კ.	III კ.
თიფლისი	9 36	4 54		
მცხეთა			68	38
ზორი	12 21	8 41	2 40	1 23
ხაშური	2	11 10	3 92	2 18
ბეჟათუბანი			4 42	2 46
ქვირილა			5 81	3 23
მუთისი	8 23		6 75	3 75
სამტრედია			7 73	4 29
ახ.-სენაკი			8 57	4 76
შაბთი	11 44		9 75	5 42
შაბთი	8 40			
ახ.-სენაკი			1 18	66
სამტრედია			2 61	14
მუთისი	11 51		3 41	69
ქვირილა			3 98	21
ბეჟათუბანი		ლაშე	5 33	2 96
ხაშური	5 41	1 65	8 43	2 34
ზორი	7 23	3 67	3 64	9
მცხეთა			9 85	4
თიფლისი	10 16	7 24	9 75	5 42

სეცხლის გვეგები			
ა) შოთილდამ:			
მდისისკენ	—	სუთშაბ.	შუადღეზე.
სტამბოლს	—	კვირაობით	დიღას.
ბ) სოხუმილდამ:			
შოთს	—	ოთხშაბათს	დიღით.
მდისას	—	ოთხშაბათს	შუადღეზე.
შოთილდამ:			
I	II	III	
სოხუმამდი	4	3	1
ქვირამდი	20	50	15
ტავანროგ.	34	27	8
მდისამდი.	38	30	9
ტვლმგრაფი			
მ. კაპ			
მცო სიტყვა	თიფლისილდამ:		
მუთისის,	შოთს	1	
ზორს,	დუშეთს,	სიღნაბს	50
როსტოვს	მდისას	მოსკოვს	2
პეტერბურგს,	პარსეას		2
სსმალეთში,	შვეიცარიაში		3
იტალიაში	და	საფრანგეთში.	3
ინგლისში.			3

შოშა	პირჰა
ა) თ ფ ი ლ ი ს ი დ ა მ:	პეტერბურგი, 5 მაისს
სამზღვარ გარეთ, მუთისის, რუსეთს	მთი მანეთი ღირს:
— ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ.	ლონდონში 32 პენსი.
ოთხშ., მსურგეთს — პარსკ. და	პარიჰში 334 სანტიმი.
ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაგ. და	მსკონტი(სარგებლისუასი)
შაბ. ძახეთს — სამშ. და შაბ.	ბანკის ბილეთი 5%
ბ) მ უ თ ა ი ს ი დ ა მ:	მოგებიანი(პირველისესხი)
თიფლისისა და შოთისაკენ — ყო-	მოგებიანი (მეორე სესხი)
ველ დღე, კვირას გარდა. მსურ-	ბირაოს ფურცლები:
გეთს — ორშ. და პარსკ. ზუგდღის	თიფლ. საზნ. ბანკისა.
— ოთხშაბ.	ხერსონის ბანკის (5 1/2)
გ) გ ო რ ი დ ა მ.	მოსკოვის (5%) . . .
შოველგან ყოველ დღე, კვირას	
გარდა.	ა ქ ც ი ე ბ ი:
დ) შ ო თ ი დ ა მ:	მდისის საფარო ბანკის
შოველგან ყოველ დღე, კვი-	შოთი-თიფლ. რკინ. გზის
რას გარდა.	შავიზღვის ცეცხ. გვეგების
წიგნის გაგზავნა რუსეთში	ქავკაზის და მერკურის.
და სამზღვარ გარეთ;	პირვ. საზღვევ. საზოგ.
ლია წიგნის . . . . .	პეტერბ. საზღვევ. საზ.
დაბეჭდილის (სამი მისხალი) . . .	მოსკოვის საზღვევ. საზ.

მან.	კაპ	მაზანდა	მან.	კაპ
		თიფლისი, 11 მაისს		
		პური შორავლის ფთ.	90	
	84	ქერი ფუთი.	55	
	89	ბამბა ქრენისა, ფუთი.	5	50
	5	— პემოკისა, ფუთი.	6	30
100	25	ბამბეტილი ბამბა ფთ.	8	
226		მატყელი თუშური ფთ.	7	50
217	75	— თარაქმისა ფთ.	7	50
		პბრეშუმი ნუბური გრ.	2	60
94		ქონი, ფუთი.	4	
88		ქონის სანთელი ფუთი.	5	60
86	75	სტარინის სანთელი, ფ.	10	20
		ხორცი ძროხისა, ლიტ.		63
		— ცხვრისა, ლიტრა.		72
172		სპირტი, ვედრო.	6	60
139	50	შაქარი, ბროტ. ფუთი.	7	80
560		— ფხენილი ფუთი.	6	40
168		შავა გრგვალის ფუთი.	22	
665		ზეთი ქუნჯუთისა ფთ.	5	50
263		მკრო 1/2 იმპერიალი.	6	15
257	65			